რეზო ხუციშვილი

კენჭიაშვილი
გვარის ისტორია

რეზო ხუციშვილი

კენჭიაშვილი
გვარის ისტორია

თბილისი
2022

UDC (უაკ) 929.52(479.22)
ხ-973

ავტორი და შემდგენელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რეზო ხუციშვილი

ენობრივი რედაქტორი: ნათია კენჭიაშვილი

ენობრივი კორექტორი: გიორგი ამირანაშვილი

ტექნიკური რედაქტორი: თამარ სტეფნაძე

კონსულტანტი: გურამ ლეგაშვილი

© რეზო ხუციშვილი

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“

ISBN 978-9941-34-578-4

0194, თბილისი, საირმის ქ., კორპ. X, ბინა №38.
Sairme Street, Building X, Flat №38, 0194 Tbilisi, Georgia
ტელ.: 599 235417; www.geogen.ge

წინასიტყვაობა

საქართველოს ისტორიული მეხსიერება მხოლოდ მატერიალურ ძეგლებში კი არა, არამედ ადამიანთა კოლექტიურ გენეალოგიურ ცნობიერებაშიც ინახება. სწორედ გვარი წარმოადგენს იმ მდგრად სისტემას, რომლის მეშვეობითაც მემკვიდრეობითობა, ტრადიცია და ეროვნული იდენტობა გადადის თაობიდან თაობაზე. საქართველოს არამატერიალური კულტურული სიმდიდრე მისი საგვარეულოებია.

კვლევა საინტერესოა არა მხოლოდ გენეალოგიის, როგორც ისტორიის დამხმარე მეცნიერებისთვის, არამედ იმ გვარის წარმომადგენელთათვისაც, რომელთა გვარის მეცნიერულ შესწავლასაც ეძღვნება წინამდებარე წიგნი.

პროფ., დოქტ. რეზო ხუციშვილის ავტორობით მომზადებული ნაშრომი „კენჭიაშვილი: გვარის ისტორია“ სოფ. დიღომში მცხოვრები კენჭიაშვილების საგვარეულოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლას ეძღვნება. მასში ავტორი იმოწმებს ადგილობრივ და უცხოურ საარქივო მასალებს, ისტორიულ დოკუმენტებს, საკითხის ირგვლივ არსებულ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და ლექსიკონებს. მას მოყვანილი ჰყავს ისეთი ავტორები, როგორებიც არიან ისტორიკოსები: ივ. ჯავახიშვილი, მ. თამარაშვილი, ავთ. სონღულაშვილი; ეთნოლოგები: ჯ. სონღულაშვილი, რ. თოფჩიშვილი; ენათმეცნიერები: ა. შანიძე, ალ. ღლონტი, ვ. თოფურია, ზ. ჭუმბურიძე და სხვანი. გამოკვლევას ბოლოში დართული აქვს გამოყენებული წყაროების სია. ამდენად, წინამდებარე ნაშრომი – პროფესორ რეზო ხუციშვილის მიერ გამოკვლეული „კენჭიაშვილების გვარის ისტორია“ – ემყარება სანდო საარქივო მასალებს, ეთნოლოგიურ, ლინგვისტურ და ისტორიოგრაფიულ წყაროებს.

ნაშრომი გამოირჩევა, ასევე, ეტიმოლოგიური ანალიზის მაღალი დონით. ავტორი არა მხოლოდ აკადემიური სიზუსტით განმარტავს გვარის სახელწოდების ფუძესა და სუფიქსურ წყობას, არამედ მის მიმართებასაც განიხილავს ქართულ ონომასტიკაში დამკვიდრებულ ტენდენციებთან. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ

წიგნი მკითხველს საშუალებას აძლევს, გააცნობიეროს გვარების წარმოშობის სოციოკულტურული ფაქტორები – როგორც ინდივიდის მახასიათებლების, ისე სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის საფუძველზე.

მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომი მხოლოდ კონკრეტული საგვარეულოს ისტორიის კვლევის ჩარჩოებში არ რჩება: მასში გამოყენებული მეთოდოლოგია, წყაროების მოხმობა და საკითხისადმი ლინგვისტურ-ეთნოლოგიური მიდგომა, სხვა გვარების შესწავლისთვისაც გარკვეულ მოდელს წარმოადგენს. ეს წიგნი, ამავდროულად, ემსახურება ეროვნული თვითცნობიერების ამაღლებას, გვაროვნული კუთვნილების გაძლიერებასა და წარსულისადმი სიყვარულს.

თანამედროვე პირობებში, მიუხედავად ურბანიზაციისა და გვაროვნული სტრუქტურის მოდერნიზაციისა, კენჭიაშვილების გვარი კვლავ ინარჩუნებს იდენტობასა და ეროვნულ მეხსიერებას. არსებობს ოჯახური ინიციატივები კენჭიაშვილების საგვარეულო ხატის შექმნაზე, გერბის შემუშავებასა და გვარის კურთხევაზე – ეს ნიშნავს, რომ ტრადიცია სიცოცხლისუნარიანია და ახალ კულტურულ ფორმატშიც გადადის. ასე რომ, გვარის ისტორიული გამოკვლევა მხოლოდ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, რითაც გვსურს, პატივი ვცეთ წინაპართა ხსოვნას.

დაბოლოს, წიგნი გამოიცა კენჭიაშვილების გვარის წარმომადგენელთა ფინანსური მხარდაჭერითა და თანადგომით, მათ შორის, ირაკლი, თამაზ, ვახტანგ, აკაკი, დიმიტრი კენჭიაშვილისა და სხვათა მონაწილეობით. განსაკუთრებული მადლობა კი, ამ საქმის ორგანიზებისთვის, გვსურს, გადავუხადოთ ლაშა-გიორგი კენჭიაშვილს.

პატივისცემით,
ფილოლ. დოქტ. ნათია კენჭიაშვილი
2022 წ.

კენჭიაშვილი
გვარის ისტორია
შესავალი

ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობა მრავალმხრივია, თუმცა მისი ყველაზე ორგანული ნაწილია გვაროვნული იდენტობა – ისტორიულად ჩამოყალიბებული ოჯახების, საგვარეულო კავშირებისა და მათში შემავალი მორალური თუ ეთნიკური ღირებულებების ერთობლიობა. გვარი არ არის მხოლოდ სახელწოდება – ის ცოცხალი მეხსიერებაა, რომელსაც თაობები მემკვიდრეობით იღებენ და მომავალს გადასცემენ. ქართული გვარი ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური და ლინგვისტური მოვლენაა, რომლის შესწავლა იძლევა სიღრმისეულ ხედვას ჩვენი ეროვნული განვითარების შესახებ.

გვარი თავისებური სახის ცოცხალი ისტორიაა, ოჯახის მემკვიდრეობითი სახელია, საზოგადოების პირვანდელი უჯრედია. ამავდროულად, ის ერის განუყოფელი და ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ქართული საგვარეულოების ისტორიასა და წინაპართა ვინაობის ცოდნას იდეურ-განმანათლებლური, აქედან გამომდინარე კი, ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტიზმის დიდი დატვირთვა გააჩნია. ძნელია სიტყვებით გადმოსცე, თუ რა დიდი პატივისცემა და სიყვარული აქვს თითოეულ პიროვნებას თავისი საკუთარი გვარისა თუ წინაპრისადმი, შესაბამისად კი, როგორი მაღალია მათი ინტერესი იმ ცოდნისადმი, რომელიც წარსულის გადმოცემით იბადება.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული გვარების წარმომავლობასთან დაკავშირებით გამოთქმულია არაერთი საინტერესო მოსაზრება თუ ვარაუდი, რომელთა შესახებ მსჯელობა შორს წაგვიყვანს. ამ საკითხზე მეცნიერთა შორის მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები არსებობს და თითოეულის განხილვა ჩვენი კვლევის საგანს ნამდვილად არ წარმოადგენს. თუმცა, წინამდებარე ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, მას მხოლოდ მოკლედ შევეხებით კვლევის შესავალ ნაწილში.

დღეს საქართველოში 25 000-ზე მეტი გვარია აღრიცხული, რაც ამ ქვეყნის დემოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ მრავალფეროვნებაზე მეტყველებს. მათგან ზოგი ისტორიულად დამკვიდრებული არისტოკრატიული წარმოშობისაა, ზოგი – გლეხური ფენიდან გამოსული, მაგრამ მიუხედავად სოციალური წარმომავლობისა, თითოეული გვარი წარმოადგენს ერის გენეტიკური, კულტურული და მორალური კოდის ორგანულ ნაწილს.

ქართულ მეცნიერებაში გვარების წარმოშობასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება არსებობს. ზოგი მკვლევარი მათ ფესვებს ადრინდელ ფეოდალურ ხანაში ხედავს, სხვები გვარების ჩამოყალიბებას უფრო გვიანდელ პერიოდს – XIV-XV საუკუნეებს უკავშირებენ. სინამდვილეში, გვარი, როგორც ოჯახისა და ტომის იდენტობის ნიშანი, შესაძლოა, კიდევ უფრო ძველი ფენომენი იყოს. ივანე ჯავახიშვილისა და სხვა გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსთა აზრით, გვარების სახით დაფიქსირებული მემკვიდრეობითი ნიშნები VI-VIII საუკუნეებში უკვე საყოველთაოდ იყო გავრცელებული, რასაც ადასტურებს როგორც ეპიგრაფიკული, ისე წერილობითი წყაროების ფრაგმენტული ცნობები.

არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში გვარი ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში გაჩენილა და VI-VIII საუკუნეებისთვის უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული იყო (ღლონტი, 1986: 48). ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს ამ პროცესის დოკუმენტურად დადასტურებას VIII-IX საუკუნეებიდან მოყოლებული (თოფჩიშვილი, 1997: 100 და სხვ.). სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულია შეხედულებაც, რომ ქართული გვარები სათავეს იღებს დაახლოებით XIV-XV საუკუნეში ე.ი., უკვე განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებაში. მეცნიერთა ვარაუდით, იმ დროისათვის, ხალხი ვეღარ არჩევდა ერთმანეთს მხოლოდ სახელებით, რამაც გამოიწვია გვარების წარმოშობის აუცილებლობა.

ამ პერიოდამდე, საისტორიო წყაროებში, ძირითადად, მხოლოდ სახელით, წოდებით, საქმიანობითა და გეოგრაფიული წარმომავლობით არიან მოხსენიებული ისტორიული პირები, მაგალითად: იაკობ ხუცესი, ბაკურიანელი, ვახტანგ გორგასალი,

ექვთიმე ათონელი, გიორგი მერჩულე, დავით ათონელი და სხვანი (ჭუმბურიძე, 2003: 68, 71). თუმცა, აკად. ივანე ჯავახიშვილის აზრით, VI საუკუნის კოლხი დიდებული ფარტაძი იყო ბერძნული გამოთქმის საფუძველზე გადაკეთებული ქართული გვარი ფარტაძე (ჯავახიშვილი, 1960: 257). ამგვარად, ნათელია, რომ გვარი არ არის უბრალოდ იურიდიულ-ადმინისტრაციული კონსტრუქცია, არამედ წარმოადგენს პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების რთულ სისტემას, რომლის მეშვეობითაც ვლინდება ოჯახის მემკვიდრეობითობა, სოციალური სტატუსი და ეთნიკური იდენტობა.

გვარი მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოებრივ განვითარებას, სოფლის მეურნეობის სტრუქტურას, საბატონო-საეკლესიო ურთიერთობებსა და სოციალურ პროცესებს. მისი კვლევა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გენეალოგიური თვალსაზრისით, არამედ კულტურული ფუნქციითაც: გვარის შესწავლა ხელს უწყობს ეროვნული თვითიდენტიფიკაციის, ისტორიული პასუხისმგებლობისა და ეთნიკური თვითშეგნების ამაღლებას. ქართველი ხალხი თავის გვაროვნულ კავშირში ყოველთვის ხედავდა მორალურ ვალდებულებას წინაპართა ხსოვნის შესანარჩუნებლად.

ამ ნაშრომის უშუალო საგანი – კენჭიაშვილების საგვარეულოს ისტორია – ერთი მხრივ, ასახავს კონკრეტული დასახლების, კერძოდ, სოფელ დიღმის ისტორიულ-დემოგრაფიული და კულტურულ-ეთნოგრაფიული განვითარების მაგალითს, ხოლო, მეორე მხრივ – გამოხატავს მთელი ქვეყნისთვის დამახასიათებელ ტრადიციულ საგვარეულო კულტურას. კენჭიაშვილები, როგორც კვლევიდან ირკვევა, სოფ. დიღმის ერთ-ერთ უძველეს მკვიდრებად მიიჩნევიან და მათი გვარი დაკავშირებულია არა მხოლოდ კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცესთან, არამედ ფართო ლექსიკურ, ეთნოლოგიურ და სოციალურ კონტექსტთანაც.

ამ წიგნის მიზანი, რომელიც ეძღვნება სოფ. დიღომში მცხოვრები კენჭიაშვილების საგვარეულოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლას, სწორედ იმ დიდი ტრადიციის გაგრძელებაა, რომელიც ქართული გვარების ისტორიული შესწავლისთვისაა დამახასიათებელი.

ნაშრომში განხილული იქნება როგორც საარქივო დოკუმენტები და დემოგრაფიული მონაცემები, ისე ლექსიკოლოგიური, ეთნოლოგიური და ონომასტიკური კვლევები. გამოყენებული წყაროები მოიცავს როგორც ქართულ, ისე უცხოურ არქივებს, მეცნიერულ ლიტერატურასა და ლექსიკონებს.

ნაშრომში გამოყენებულია მრავალფეროვანი და მაღალი რანგის საარქივო მასალები: XVIII-XIX საუკუნეების აღწერის წიგნები, საეკლესიო მეტრიკულები, საეკლესიო არქივების ჩანაწერები, რუსულ და ქართულ ენაზე შედგენილი დოკუმენტები.

დამოწმებულია ისეთი ავტორიტეტული მეცნიერები, როგორებიც არიან: ივ. ჯავახიშვილი, მ. თამარაშვილი, ავთ. სონღულაშვილი, რ. თოფჩიშვილი, ა. შანიძე, ალ. ღლონტი, ვ. თოფურია, ზ. ჭუმბურიძე, ჯ. სონღულაშვილი და სხვანი. ნაშრომს ბოლოში თან ერთვის გამოყენებული წყაროების სია, რაც მისი სანდოობისა და აკადემიური ღირებულების დამატებითი გარანტიაა.

მიუხედავად იმისა, რომ ერთ საგვარეულოზე ფოკუსირებული კვლევა, შესაძლოა, ლოკალურად ჩაითვალოს, მისი მნიშვნელობა სცილდება კონკრეტულ გვარს: ეს არის ეთნოგენეზის, სოციალური სტრუქტურისა და ქართული სოფლის კულტურის შესწავლის მაგალითი.

წიგნის მომდევნო თავები მიზნად ისახავს, დეტალურად გააშუქოს კენჭიაშვილების გვარის წარმოშობა, დოკუმენტური კვალი, ეტიმოლოგია, ოჯახური შტოები, მიგრაციული მოძრაობები, თანამედროვე სტატისტიკური მონაცემები და შესაძლო ისტორიულ-ლინგვისტური კავშირები სხვა გვარებთან. ეს ყველაფერი ქმნის ერთგვარ „საგვარეულო მონოგრაფიას“, რომელიც ძვირფას შენატანს წარმოადგენს ქართული სახელდების, ონომასტიკისა და გენეალოგიის ისტორიაში.

თავი I

კენჭიაშვილების შესახებ დოკუმენტური ცნობები

კენჭიაშვილების გვარის ისტორიული კვლევა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება წერილობით და საარქივო წყაროებს, რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ, ასევე, როგორც სახელმწიფო, ისე საეკლესიო არქივებში. ამ დოკუმენტებში, გვარი „კენჭიაშვილი“ პირველად მოიხსენიება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თუმცა აშკარაა, რომ მისი ფესვები გაცილებით ადრეულ პერიოდში უნდა გვქონდეს მოსაძებნი. სამწუხაროდ, მრავალი ძველი საბუთი ისტორიულმა კატაკლიზმებმა გაანადგურა, რის გამოც გვარების შორეული წარსულის კვლევა ხშირად ფრაგმენტული წყაროებით შემოიფარგლება.

პირველ რიგში, ვნახოთ, რა კონკრეტული ინფორმაცია არსებობს სპეციალურ ლიტერატურაში ჩვენთვის საინტერესო გვარის შესახებ. ეთნოლოგი ჯუანშერ სონღულაშვილი, რომელიც ერთ-ერთ პირველ მკვლევრად ითვლება დიღმის ხეობის მატერიალური კულტურის შესწავლის სფეროში, მოკლედ ეხება კენჭიაშვილების გვარის ისტორიას და მათ მართებულად მიიჩნევს სოფელ დიღმის ადრინდელ მკვიდრებად. იგი აგრეთვე ასახელებს მათი განსახლების უბანს – დიღმის ციხის დასავლეთ და სამხრეთ ტერიტორიას.

სოფ. დიღომში მოსახლე გვარებისა და მათი განსახლების ამსახველ რუკაზე[1]. რომელიც ჯ. სონღულაშვილმა შეადგინა, მოცემულია კენჭიაშვილთა სამკვიდრო ადგილი – უბანი (იხ. დოკ. 1). სოფ. დიღმის არქიტექტურისა და სამეურნეო ნაგებობების კვლევის შედეგად, მანვე გამოავლინა ისაკა კენჭიაშვილის დარბაზიც (იხ. დოკ. 2). მისი შედგენილი რუკა აჩვენებს, რომ კენჭიაშვილების სამკვიდრო ადგილი ამ სოფლის ერთ-ერთ ძირძველ უბანს წარმოადგენს.

1 წიგნში რუკა უხარისხოდ არის დაბეჭდილი, რის გამოც მისი ხარისხიანი ასლის გადაღება ვერ ხერხდება.



1. სონღულაშვილი, 1969: 72


დილმის ხეობაში იყო ისეთი დარ-
ბაზები რომლის სისტემაში სხვა სამეურნეო ნაგებობებიც შედიოდა.
ბოსელი, სათონე, მარანი, პურის ოთახი და სხვა მაგალითისათვის მო-
ვიყვანთ პეტრე ქობელაშვილისა და ისაკა ►ენეჯაშვილის





2. სონღულაშვილი, 1969: 214-217, ტაბულები XVI, XXV

როგორც ცნობილია, ქართულ სოფლებში გვაროვნული იდენტობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტერიტორიულ ორგანიზაციასთან. ქართულ სოფლებში გვართა მიხედვით გამოიყოფოდა უბნები და მათ სახელი მიეკუთვნებოდა იქ მცხოვრებთა შესაბამისად, გვარის ან გვარის განშტოების თანახმად. ზოგან, მრავალრიცხოვანი გვარი ცალკე განაყოფებად, შტოებად იყო დაყოფილი წინაპართა სახელების ან მეტსახელების (თიკუნების) მიხედვით და გვქონდა ე.წ. საუბნო გვარები, რასაც ხშირად „უბნეულ“ გვარებსაც ეძახდნენ. უბნეული გვარები არაოფიციალურია, იურიდიული ენით თუ ვიმსჯელებთ, ის არაა ფიქსირებული დოკუმენტებში, არ აისახება საკომლო სიებში, მაგრამ სოფელმა კარგად იცის და ორიენტაციაც ამის მიხედვით ხდება.

ჯ. სონღულაშვილს მოცემული აქვს დიღმელი კენჭიაშვილების ე.წ. „მამის სახლად“ დანაყოფთა სახელები. მას აგრეთვე მიუკვლევია ერთ-ერთი ადრეული დოკუმენტისთვის, რომელშიც კენჭიაშვილები იხსენიებიან. ავტორი თავის კვლევაში აღნიშნავს შემდეგს: „დიღმის ციხის დასავლეთითა და სამხრეთით მდებარე ტერიტორია კენჭიაშვილების საგვარეულოს უჭირავს. ძალზე დიდი გვარია დიღომში. ეს გვარი შემდეგ „მამის სახლად იყოფა: „შუშიანი, შაქარაანი, ჭანაპარაანი, ნოხჩურაანი, ქოჩორაანი. კენჭიაშვილები საეკლესიო ყმებად[2] ითვლებიან, მათ შესახებ ვერავითარ ისტორიულ საბუთს ვერ მივაკვლიეთ. მხოლოდ 1781 წლის ხალხის აღწერის დავთარში კათალიკოსის ყმებს შორის გვხვდება დიღმელი კენჭიაშვილი გოგია და პავლე“ (სონღულაშვილი, 1969: 7).

2 ცნობილია, რომ საქართველოში ბატონყმურ ხანაში გლეხები ყმებად იწოდებოდნენ, ანუ ყმა-გლეხებად (აქედან წარმოიშვა ტერმინი ბატონყმობა; ყმა – სიტყვიდან ყრმა, ყმაწვილი), რომლებიც წარმოადგენდნენ მწარმოებელს. კლასის და მფლობელობის, ანუ კუთვნილების მიხედვით ისინი სამ კატეგორიად იყოფოდნენ: 1. სახელმწიფო (სახაზინო), 2. საბატონო და 3. საეკლესიო გლეხებად. რუსეთთან შეერთების შემდეგ სამეფო და საუფლისწულო (ბატონიშვილების) გლეხები რუსეთის სახელმწიფო (სახაზინო) გლეხებად იქცნენ. ქართველი გლეხობა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობით კი, სხვადასხვა კატეგორიისაგან შედგებოდა, როგორიც არიან შუასაუკუნეებში: ნერვები, ნასყიდი, თავდაწერილი, შეწირული, მოჯალაბე, მსახური, ხიზანი და სხვ. (იხ. გოგოლაძე, 1971: 121).

ამის შემდეგ, კენჭიაშვილების შესახებ ინფორმაციას ვხვდებით ისეთი ავტორების წიგნებში, როგორებიც არიან ავთანდილ სონღულაშვილი და როლანდ თოფჩიშვილი. ისინი ამ ცნობების წყაროს არ უთითებენ, თუმცა, როგორც ჩანს, მათ უსარგებლიათ ჯუანშერ სონღულაშვილის ზემოთ მოყვანილი ნაშრომით. პირველი ავტორი წერს: „XVIII საუკუნის ბოლოს დიღომში ცხოვრობდნენ როგორც სამეფო და სადედოფლო, ასევე საკათალიკოსო და საბატონო ყმები. 1781 წლის მოსახლეობის აღწერის დავთარში კათალიკოსის ყმებად დასახელებული არიან ზანდარაშვილი, კენჭიაშვილი, ქობულაშვილი, ფირიაშვილი და შიოშვილი. მუხრან-ბატონის ყმად – კოლოტაური იესე.“ (სონღულაშვილი, 1995: 15-16). ავტორი ასევე აღნიშნავს: „დედოფალ დარეჯანს ფარეშებად (დიღმიდან) ემსახურებოდნენ მანეჟასშვილი რამაზი, გეგელიშვილი სოლომონი, გენებაშვილი გლახა, მამუჩაშვილი ბერუა, კენჭიაშვილი გიორგი და სხვ.“ (სონღულაშვილი, 1995: 15-16).

რაც შეეხება რ. თოფჩიშვილის კვლევას, იგი ასევე ეხება „მამის სახლებად“ დაყოფის თემას. მას მოჰყავს ვრცელი ახსნა, ზოგადად, ქართულ გვარებზე და, კონკრეტულად, ახსენებს კენჭიაშვილის გვარსაც: „ქართლში დიდი გვარები რამდენიმე დანაყოფისაგან შედგებოდა, რასაც სახლიკაცობას, მეტსახელს, განაყოფს, ბუდობას უწოდებდნენ. […] სოფელ დიღომში თითქმის ყველა დიდი გვარი ასევე რამდენიმე განაყოფად („მამის სახლად“) იყოფოდა. მაგალითად, ჟამუტაშვილების განაყოფები იყვნენ ჭიკაანი, ბათლომიანი, ჩაჩიბაიანი, უჟმურიანი; ფირიაშვილების – ლალუბაანი, ჩიტიაანი, გოროხინაანი; კენჭიაშვილების – ჭანაპარაანი, ნოხჩუაანი, შუშიაანი, შაქარაანი“ (თოფჩიშვილი, 2021: 255).

როგორც ვნახეთ, ეთნოლოგი ჯ. სონღულაშვილი წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ეს გვარი დიღმის ადრინდელ მკვიდრებად ითვლებიან, მათ შესახებ ვერავითარ ისტორიულ საბუთს ვერ მივაკვლიეთ. მხოლოდ 1781 წლის ხალხის აღწერის

დავთარში კათალიკოსის ყმებს შორის გვხვდება დიღმელი კენჭიაშვილი გოგია და პავლე“ (1969: 7). ჯ. სონღულაშვილის ეს სიტყვები მართებულად გამოიყურება, ვინაიდან ვერც ჩვენ გამოვავლინეთ უფრო ადრეული ასეთი საბუთი, ალბათ ის საქართველოს სიძველეთსაცავებს არ შემოუნახავს[3].

თუმცა, წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის დროს, ჩვენ მივაკვლიეთ კიდევ ერთ, 1788 წლით დათარიღებულ საარქივო დოკუმენტს, რომელშიც იხსენიება ვინმე „კენჭიაშვილი გოგია“, რომელიც უნდა იყოს 1781 წლის ხალხის აღწერის დავთარში ხსენებული „კენჭიაშვილი გოგია“. რა თქმა უნდა, ინტერეს-მოკლებული არ უნდა იყოს ამ ორი საბუთის ფრაგმენტების აქ მოყვანა, რომლებშიც XVIII საუკუნის სოფ. დიღომში კენჭიაშვილები იხსენიებიან (იხ. დოკ. 3, 4).



IV. ტფილისის მიდამოების სოფლების 1781 წ. ხალხის
აღწერის დავთარი

საქართველოს მუზეუმის (წინათ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების)[1] გრაგნილი Hd—1604 სხვადასხვა ზომისა და ფერის ქაღალდის გადაწებებული კეფებისაგან შედგება. გრაგნილის მთელი სიგრძე 13, 2

დიღომს მემკვიდრე:

Oქ. აქავ კათალიკოზის ყმა ზანდარაშვილი დავითა კომლი ა, თავი ა.

Oქ. აქავ ამისივ ყმა ზანდარაშვილი აბრამა „

Oქ. აქავ ამისივ ყმა კენჭიაშვილი გოგია და პავლე „ თავი ბ.

Oქ. აქავ **დიღმს** ხიზანი ბოგველის ყმა მირუაშვილი ნასყიდა, ამისი ძმა ბერუა კომლი ა, თავი გ.

Oქ. აქავ ხიზანი ივანე ბოგველის ყმა სონღულიძე გოგია, ამისი ძმა ზურაბა „ ბ.

3. ჯავახიშვილი, 1967: 163

3 „ქართული ისტორიული დოკუმენტების ჩვენმა მასამდე, ხშირი შემთხვევა, სრულიად შემთხვევითობის მოპოვება ჩვენთან, თუ კერძო პირთა არქივები არაერთგზის იყო. განადგურებული, ბევრი დოკუმენტი მუდმივი თავდასხმა-აოხრების დროს. ამგვარად, რაოდენობრივი მაჩვენებლებით შემორჩენილი დოკუმენტები არ გვაძლევენ იმ უწყვეტ ლოგიკურ ჯაჭვს, ხარჯებს. შეიძლება იქნეს გამოცხადებული ეჭვიმიუტანელი დასკვნები“ (სურგულაძე და ოდიშელი (რედ.), 1991: 4-5).



4. 1788 წ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1488, ანაწერი 1, საქმე 3483, გვ. 1-2

ქრონოლოგიური მონაცემების გარდა, 1781 წლის ეს დავთარი სხვა თვალსაზრისითაც არის საინტერესო, რადგან მის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კენჭიაშვილები ნამდვილად სოფ. დიღმიდან მომდინარეობენ და მის ერთ-ერთ ძირძველ მოსახლეებს წარმოადგენენ. ამ დოკუმენტის თანახმად, სოფ. დიღომში მცხოვრები ოჯახები ორ კატეგორიად იყოფოდნენ – მკვიდრი მოსახლეობა და „ხიზნები"; როგორც ამ საბუთიდან ჩანს, სოფ. დიღომში სხვა ადგილიდან მისულ პიროვნებებს უწერიათ, რომ ისინი იქ ხიზნები არიან, ხოლო კენჭიაშვილები მკვიდრ მოსახლეობად არიან მოხსენიებული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ ძველ წარმოშობასა და ფესვებს ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე.

აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევის მიხედვით, „მოსახლეობა საქართველოში გვაროვნობათა მიხედვით უნდა ყოფილიყო დაშენებული. უძველესი ხანისათვის ამის დამამტკიცებელი საბუთების მოყვანა წერილობითი ძეგლებითგან რასაკვირველია შეუძლებელია... 1774 და 1781 წწ. დავთრებიდან ჩანს, რომ XVIII ს. მეორე ნახევარშიაც არა ერთი სოფელი ყოფილა, რომლის მთელი მოსახლეობა მხოლოდ ერთ გვარეულობას ჰკუთვნებია... ბევრი სოფელია, რომლებშიც მოსახლეობა მხოლოდ ერთ საგვარეულოს ეკუთვნის და მხოლოდ თითო ან ორი, სამი სხვა გვარის მოსახლე არის ხოლმე, ხშირად სხვაგნითგან შემოხიზნული, როგორც ეს დავთარში ხშირად აღნიშნულიც არის. სოფლების მოსახლეობის პირვანდელ ერთ-გვაროვნულობას სწორედ ეს ხიზნობა და შიშიანობის დროს ბარითგან მთაში შეხიზვნა და ჩასახლება არღვევდა, ბარად კი მტრის შემოსევა-აოხრებისაგან სოფლის მცხოვრებთა ამოვარდნა-დაწიოკება" (ჯავახიშვილი, 1982: 136-139). როგორც XVIII საუკუნის აღწერების ანალიზიდან ჩანს, არსებობდა სოფლები, სადაც მოსახლეობა მხოლოდ ერთი საგვარეულოს წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული, დანარჩენები კი – ხიზნებად ითვლებოდნენ. ამ ფონზე, დიღომი კენჭიაშვილების ე.წ. ბუდე-სოფელს წარმოადგენდა.

გარკვეული ცნობები და დოკუმენტები კენჭიაშვილების შესახებ შედარებით ვრცლად გვხვდება XIX საუკუნიდან. აღნიშნული წყაროებიდან შესაძლებელია მათი კონკრეტული შემადგენლობის ისტორიისა და გენეალოგიური ნუსხის შედგენა. ძირითადად, ესაა აღნიშნული პერიოდის მოსახლეობის აღწერის დოკუმენტები და საეკლესიო ჩანაწერები, რომლებიც დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში.

საქართველოს მოსახლეობის ამ აღწერებიდან, რომლებსაც აწარმოებდა რუსეთის იმპერია თავის ყველა გუბერნიაში ყოველ ათ წელიწადში ერთხელ, 1804 წლიდან 1886 წლამდე, სოფ. დიღმის აღწერის მასალები შემორჩენილია 1817 წლიდან მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სახით. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ სწორედ 1817 და 1873 წლების აღწერებს (იხ. დოკ. 7 და 8).

...უნიციპალიტეტი	სოფელი	ეკლესიის დასახელება	კიდური თარიღები	გამოტოვებული წლები
...არეუბანი	დიღომი	წმ. მარიწეს	1871-1899	
...არეუბანი	...ლის-დიღომი	წმ.გიორგის (გრიგორიანული)	1886-1919	1886-1892,1899
...ბილისის მაზრა	დიღომი	წმ. მარიწეს	1819-1870	1821, 1844, 1846, 1868

5. საქართველოს ეროვნული არქივების კატალოგიდან. ფონდი 489.

რაც შეეხება სოფ. დიღმის სოფლების საეკლესიო წიგნებს, ისინი ამ არქივში არ არის სრულად შემონახული (იხ. დოკ. 5), იმის მიუხედავად, რომ ამ სოფელში სხვა ეკლესიებიც იყო. როგორც რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს: „ასევე იყო სოფელ დიღომში, ყველა უბანს თავისი ეკლესია და სასაფლაო ჰქონდა. სასაფლაოები ჩვეულებრივ ეკლესიებთან არსებობდა; შეიძლება დავასახელოთ: წმიდა გიორგი, თეთრი გიორგი, წმიდა მარინე, სამება, კვირაცხოველი, ღვთიშობელი, ჩხაიკა ყოვლადწმიდა, წმიდა თევდორე, წმიდა სტეფანე, კავთა წმიდა გიორგი... იყო სვეტიცხოვლის ნიშიც“ (თოფჩიშვილი, 2021: 251). თუმცა მაინც შემორჩენილია სოფელ დიღმის 1820 და 1829 წლების საეკლესიო მეტრიკული წიგნები, რომლებსაც ასევე ქვემოთ შევეხებით.

მაგრამ, ვიდრე მოსახლეობის აღწერისა და საეკლესიო ჩანაწერების დოკუმენტებს შევეხებით, მოვიყვანთ XIX საუკუნის დასაწყისში შექმნილ ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტს. ესაა 1817 წლის 4 ნოემბერს (ჩაწერის ძველი სტილით, „გიორგობის დ, წელსა ჩყიზ“) გაცემული თამასუქის საბუთი. ის ასახავს დიღომში მცხოვრები აბრამა ზანდარაშვილისა და მისი შვილების – დათიასა და ისაკას მიერ მიცემულ თამასუქს ბეჟან ღვინიაშვილისა და მისი შვილების – პეტრეს, კიკოლასა და გლახუასადმი. მასში დასახელებულია სულ სამი მოწმე, რომელთა შორის ერთ-ერთ მოწმედ მოხსენიებულია ვინმე „კენჭიაშვილი ივანე“. შეიძლება ითქვას, რომ ეს საბუთი წარმოადგენს XIX საუკუნის ერთ-ერთ ადრეულ დოკუმენტს ამ საგვარეულოს შესახებ (უფრო ვრცლად იხ. დოკ. 6).

297. **1817 წლ. ნოემბრის 4.** თამასუქი, მიცემული აბრამა ზანდარაშვილის მიერ ბეჟანა ღვინიაშვილისადმი. დედანი. ზომა 37×23 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 7742 Hძ.

ქ. ავიღე მე, დიღომს მცხოვრებელმა ზანდარაშვილმა აბრამამა და შვილმა ჩემ(მ)ა დათიამა და ისაკამ, შენ, ღვინიაშვილის ბეჟანასაგან და შვილებისა შენისა პეტრესა, კიკოლასა და გლახუასაგან, თორმეტი ოშმანი თეთრი ფული რუსის მანეთი, რო იქს ამის ნახევარი ჯ (7 თუმანი)[1] ამდენს. და მოგეცი ამ ზემო ხსენებულის თეთრის გირაოდ ჩემი ხასყიდი მიწა უბე, უბეში ოთხის დღის. არის ამის სამძღვრები და ნიშნები: თავს გზამდინა, ბოლოს ხოხნიანთ მიწის მიდგმამდინა, აქვე წმინდის გიორგის მხრივ გზამდინ, იქით ქამუტანთ მიწის მიდგმამდინა. ეს არის ჩვენი პირობა, რომ არც შენ მოხოვო თეთრის სარგებელი[2] და არც მე მქონდეს იმ მიწასთან საქმე, შენ იხმარო და ისარგებლო. როდესაც შენი თეთრი მოგაბარო, ჩემი მიწა მევე დამხებდეს. არის ამისი დამსწრე თავათ ღმერთი. კაცთაგან მამასახლისი თეთრა, კენჭიაშვილი ივანე, ლასურის-შვილი იოსეპ, ხეჩუმაშვილი თათულა. და მე, ზანდარას-შვილს ზაქარიას, დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა გიორგობის დ, წელსა ჩყიზ.

6. ბერძენიშვილი (შემდგ.), 1953: 215

როგორც ითქვა, სოფ. დიღმის მოსახლეობის კამერალური აღწერის მასალები შემორჩენილია 1817 წლიდან მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სახით. ამ წლის აღწერაში ფიგურირებს ჩვენთვის საინტერესო მხოლოდ ერთი, ნინია კენჭიაშვილის ოჯახი, რომელიც შედგება 4 წევრისგან – 2 კაცისა და 2 ქალისაგან. ამ დოკუმენტიდან ვიგებთ აგრეთვე მათ საქმიანობას, რომლის მიხედვითაც, ისინი ეწეოდნენ სახნავ-სათეს მეურნეობას (хлебопашество) და ცხოვრობდნენ მემამულის კუთვნილ მიწაზე (იხ. დოკ. 7). როგორც ცნობილია, სოფ. დიღომი სამუხრანბატონოს სათავადოში შედიოდა (თოფჩიშვილი, 2021: 235).



7. დოკუმენტი ფრაგმენტით. 1817 წ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 477, გვ. 22ა

1873 წლის ამავე სოფლის მოსახლეობის კამერალურ აღწერაში კენჭიაშვილთა რიცხვი გაზრდილია და უკვე 4 ოჯახს წარმოადგენს. ეს აღწერა ამ სახის სხვა დოკუმენტებისგან განსხვავდება, რადგან მასში მოცემულია მხოლოდ კომლის/ოჯახის უფროსის ვინაობა როგორც ქართულად, ისე რუსულ ენაზე. ესენია: ლუკა, ალექსი გლახა და ანტონე კენჭიაშვილები (იხ. დოკ. 8).


КАМЕРАЛЬНЫЙ СПИСОКЪ №106.

	Имена и прозванія жителей.	Переводъ.
16	[illegible]	Лука Кенчіашвили
31	[illegible]	Алексей Кенчіашвили
51	[illegible]	Глаха Кенчіашвили
52	[illegible]	Антонъ Кенчіашвили

8. დოკუმენტი ფრაგმენტით. 1873 წ. ს. დიღომის აღწერა. ფონდი 254, ან. 3, საქმე114, გვ. 34-36.

რაც შეეხება სოფელ დიღმის საეკლესიო მეტრიკულ წიგნებს, ჩვენთვის საინტერესო გვარს პირველად 1820 წელს, წმინდა მარინეს ეკლესიაში ვხვდებით. მასში მოცემულია ჩანაწერი, რომლის მიხედვით, „5 ივნისს დიღომს მცხოვრებელს კენჭიაშვილს არსენას დაებადა ვაჟი. სახელი გაენათლა და მონათლა ამავე სოფლის მღვდელმა დავითმა. სახელად ეწოდა სვიმონ“ (იხ. დოკ. 9).

არქივმა აგრეთვე შემოგვინახა დიღმის წმინდა მარინეს ეკლესიის აღსარების მთქმელთა წიგნები 1829 წლიდან, რომლებშიც კენჭიაშვილები თითქმის ყველა ჩანაწერებში ფიგურირებენ. მაგალითად, 1829 წელს ვხვდებით ამ საგვარეულოს 2 ოჯახს სრული შემადგენლობითა და მათი ასაკის ჩვენებით (იხ. დოკ. 10). ხოლო, მომდევნო წლების ამ დოკუმენტებში მათი რაოდენობა 3 და 4 ოჯახამდე იზრდება.

ამრიგად, სოფ. დიღმის წმინდა მარინეს ეკლესიის მეტრიკულ და აღსარების მთქმელთა წიგნებში კენჭიაშვილების შესახებ არსებული ჩანაწერები მეტყველებს იმაზე, რომ ამ სოფელში მრავლად არსებულ ეკლესიათა შორის, მათ სალოცავს წმინდა მარინეს ეკლესია წარმოადგენდა[4].

დასასრულ, XIX საუკუნიდან მოყოლებული, უკვე იწყება კენჭიაშვილების გვარის უფრო სრულად დოკუმენტირება. სხვადასხვა აღწერასა და საეკლესიო ჩანაწერში გვხვდება მათი გენეალოგიური შემადგენლობა, მაგალითად:

- 1817 წლის აღწერაში – ნინია კენჭიაშვილის ოჯახის ოთხი წევრი (დოკ. 7);
- 1873 წლის აღწერაში – ოთხი ოჯახის უფროსები: ლუკა, ალექსი, გლახა და ანტონე კენჭიაშვილები (დოკ. 8);
- 1820 წლის მეტრიკული წიგნი – წმ. მარინეს ეკლესიაში არსენას ვაჟის – სვიმონის მონათვლის ჩანაწერი (დოკ. 9);
- 1829 წლიდან – აღსარების მთქმელთა წიგნებში კენჭიაშვილები ფიგურირებენ როგორც სრულფასოვანი ოჯახები, რაც დინამიკურად იზრდება მომდევნო წლებში (დოკ. 10).

ეს მონაცემები ნათლად აჩვენებს საგვარეულოს გაფართოების პროცესსა და სოფლის საეკლესიო ცხოვრებაში მათი მონაწილეობის სისტემატურობას. წმ. მარინეს ეკლესია, სავარაუდოდ, წარმოადგენდა მათი სალოცავი ცენტრის ფუნქციას.

---

4 წმინდა მარინეს ეკლესიის მდებარეობა სოფ. დიღმის ზემოთთა აღწერა რუკაზე აღნიშნეთ მომცრო წერტილით (იხ. დოკ. 1). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არქივებში სოფ. დიღმის წმ. გიორგის ეკლესიის წიგნები არ არის დაცული, ეს დოკუმენტები პირად არქივში ჰქონია ეთნოლოგი ჯ. სონღულაშვილს, რომელსაც თავისი ზემოდასახელებულ წიგნში მოყვანილი აქვს ამ ეკლესიაში მონათლული სხვადასხვაგვარი, სადაც კენჭიაშვილები არ ჩანან.



9. დოკუმენტი ფრაგმენტით. 1820 წ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე 5, გვ. 77

ზემოაღნიშნული დოკუმენტური მტკიცებულებები მკაფიოდ ადასტურებს, რომ კენჭიაშვილები იყვნენ ძირძველი დიღმელები – მემკვიდრეობითად დამკვიდრებული გლეხკაცური საგვარეულო, რომელიც არა მხოლოდ სოფლის ეკონომიკურ, არამედ სულიერ ცხოვრებაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მათი ისტორიის საარქივო კვალი საშუალებას გვაძლევს, ჩავწვდეთ არა მხოლოდ კონკრეტული გვარის განვითარებას, არამედ დავინახოთ ქართული სოფლის კულტურის ევოლუციური პროცესებიც.



10. 1829 წ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე 2205, გვ. 3ა

თავი II

კენჭიაშვილების გვარის ეტიმოლოგია და სახელის წარმოშობა

ახლა განვიხილოთ კენჭიაშვილთა გვარის ეტიმოლოგიური საკითხები, თუ როგორ და რის საფუძველზე ჩამოყალიბდა ეს გვარი. ქართული გვარების ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი, ისევე, როგორც სხვა ხალხთა გვარების უდიდესი ნაწილი, წარმოქმნილია წინაპართა სახელების, ან მეტსახელებისაგან, აგრეთვე ტოპონიმებისაგან, პროფესიიდან გამომდინარე და ა.შ. (იხ. ჭუმბურიძე, 2003 და სხვ.). ეს კანონი კენჭიაშვილების გვარსაც ეხება – მისი წარმოშობა, როგორც ჩანს, უკავშირდება წინაპართა სახელს ან მეტსახელს – „კენჭია“, რომლისგანაც სუფიქსით „-შვილი“ წარმოიქმნა გვარ-სახელი. „კენჭი/კენჭია“ ჯერ მეტსახელი (თიკუნი) უნდა ყოფილიყო, რაც მართებულად არის მიჩნეული ერთ-ერთი ძველი ხელნაწერის გამომცემლის მიერ (იხ. დოკ. 11), ხოლო, მოგვიანებით ის წარმოიქმნა გვარად, ანუ ჩვენთვის საინტერესო ეს გვარი ეპონიმურ გვართა ჯგუფს მიეკუთვნება.



ყორჩიბაში რევაზ, სტიხნი. XIX—XX

4 ფ.; 35,5×22,3; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX—XX]; დაუწერელია 4v.

„სტიხნი ესე რევაზ ყორჩიბაშის მიერ შეთხზულნი. —

აწ გაგვეხსნა ეპოხა ახლისა ცხოვრებისა,
მზე გაგვიბრწყინდა ქართუმლთ, ჟამი გვაქვს დღეობისა...“ 1r—4r.

შენიშვნები: 1. ყოველ „სტიხზე“ ვიღაცას ლურჯი ფერის ფანქრით მიუწერია იმის გვარი და სახელი, ვისთვისაც განკუთვნილი იყო ეს „სტიხი“. მაგ.: „კენჭი“ (1r); „რევაზ მაყაშვილი (ცოცხალია)“ (1r); „ათანასე მა-

კენჭი (ზედმეტი სახელი უნდა იყოს)

11. ბრეგაძე (შემდგ.), 1973: 281

საკუთრივ სიტყვა „კენჭის“ სემანტიკას (მნიშვნელობას) განსაკუთრებული განმარტება არ სჭირდება. ამის მიუხედავად, შეგვიძლია მოვიყვანოთ სულხან-საბა ორბელიანის განმარტება: „კენჭი, მცირე ქვათაგანი.“ (ორბელიანი, 1884: 145). ამ ერთი შეხედვით მარტივი სიტყვით შექმნილ მეტსახელს და მისგან მიღებულ გვარს შესაძლოა ჰქონდეს ღრმა სიმბოლური, მეტაფორული ან ყოფით-სოციალური დატვირთვაც, რასაც მოგვიანებით შევეხებით.

რაც შეეხება სიტყვა „კენჭის“ ბოლოს -ა ასოს დამატებას, დროთა განმავლობაში, ასოთა ასეთი ცვალებადობა გვარ-სახელებში კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, – აღნიშნავდა აკად. სიმონ ჯანაშია (1959: 40-45). აკად. ვარლამ თოფურიას ასევე საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ეს გარემოება, რის შესახებ იგი წერდა: „ერთი და იგივე ბგერა ერთ შემთხვევაში შეიძლება დაიკარგოს, მაგრამ მეორე შემთხვევაში ჩაერთოს“. ავტორს ნაშრომში მრავალი ასეთი სახის მაგალითი მოჰყავს (თოფურია, 1925: 135-138).

როგორც ჩანს, მხოლოდ -ა ასოს ჩართვა უნდა მომხდარიყო ჩვენთვის საინტერესო გვარ-სახელის ფორმირების პროცესში, რომლის შედეგადაც მისი რეალური ბგერითი ფორმა არ შეცვლილა, რადგან ორივე მათგანს უდავოდ ერთი და იგივე შინაარსი გააჩნია. საზოგადო თუ საკუთარ სახელთა დაბოლოება შეიძლება მიღებული იყოს ფონეტიკური პროცესების შედეგად, დისიმილაციით, რასაც მოსდევს ფუძისეული სუფიქსების -ა, -ე, და სხვ., კნინობითობის სუფიქსით შეცვლა ან მისი დართვა.

ასეთი კნინობითი და ალერსობითი სახელების შესახებ მოვიყვანთ აკად. აკაკი შანიძის სიტყვებს: „კნინობითი ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი მხრით ალერსის გამოსახატავად (ალერსობითი სახელი) და მეორე მხრით დამცირების მიზნით (დამამცირებელი სახელი)“ (შანიძე, 1942: 117-118). აღსანიშნავია, რომ აკადემიკოსი ა. შანიძე ასახელებს კნინობითი სახელების მაწარმოებელ ისეთ სუფიქსებს, როგორიცაა: „ა“, „იკ“, „ილ“, „უკ“, „უნ“, რაც მეტყველებს იმაზე, რომ „კენჭია“ სწორედ იმ ტიპის კნინობით ფორმას მიეკუთვნება, რომელსაც ალერსობითი სახელის დატვირთვა ჰქონდა და არა დამამცირებლის.

მართლაც, სუფიქს „-ა“-ს დამატება ხშირად წარმოადგენდა კნინობითობისა და ალერსიანობის გამოხატულებას, რაც მოგვიანებით სახელის ნაწილად იქცა და, საბოლოოდ, გვაროვნული სახელის საფუძველი გახდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „კენჭია“ სახელ „კენჭი“-ს კნინობითი ფორმა უნდა ყოფილიყო, რომელსაც აშკარად „ალერსობითი მნიშვნელობა“ აქვს. ეს კი, კიდევ უფრო ამყარებს ვარაუდს, რომ კენჭიაშვილის გვარი შეიქმნა მეტსახელისგან, რომელსაც ჰქონდა დადებითი დატვირთვა – ამ გზით, ის სახელიდან გვარად გადაიქცა.



162. კნინობითი სახელები. კნინობითია სახელი, რომელიც საგანს, რომელსაც ის აღნიშნავს, შემცირებული სახით გვაჩვენებს ძირეული სახელის მნიშვნელობასთან შედარებით: „წიგნი“ და „წიგნაკი“.

კნინობითი ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი მხრით ალერსის გამოსახატავად (ალერსობითი სახელი) და მეორე მხრით დამცირების მიზნით (დამცირებითი სახელი).

კნინობითი ფორმების წარმოება სალიტერატურო ქართულში მაინცადამაინც გავრცელებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მაწარმოებელი გვაქვს: ა, იკ, ილ, უკ, უნ. ბევრს მათგანს უფრო გადმონაშთის სახე აქვს, ვიდრე ცოცხალი მაწარმოებლისა.

ეგვეე კნინობითის ა გვაქვს ადამიანთა საკუთარ სახელებში: ბეჟან-ა, დავით-ა, სიმონ-ა, ლუარსაბ-ა, დარეჯან-ა, საბედ-ა (ელისაბედ-ა), ივედ-ა და მისთ. იგივე ა არის ასეთ სახელებში: პეტრი-ა, პაული-ა, გიგუ-ა, ვასუ-ა, ნინუ-ა, თიკუ-ა და სხვ. (მოსალოდნელი იყო: პეტრე-ა, პაული-ა, გიგო-ა, ვასო-ა, ნინო-ა, თიკო-ა, § 35). ასეთივე წარმოებისაა საზოგადო სახელი ძალუა-ც („ძალო-ა“). მიღებულია წოდებითი ფორმისაგან, რომელიც სახელობითად ქცეულა: [რ]ძალო-ა).

12. შანიძე, 1942: 117-118

ვის და როდის დაერქვა ზედმეტი სახელი „კენჭია“, სათანადო მასალის უქონლობის გამო, ამის გარკვევა ვერ/არ ხერხდება. თუმცა, შესაძლოა ვისაუბროთ იმაზე, თუ რატომ უნდა დაერქმიათ პიროვნებისთვის ასეთი მეტსახელი. აქ ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ რამდენიმე ვერსია ქართლური დიალექტის საფუძველზე:

1. სისწრაფესთან დაკავშირებული მეტაფორა – დაერქვა პიროვნებას, რომელიც ძალიან სწრაფად დარბოდა, რასაც კენჭის აკრეფას ეძახდნენ: „კენჭსა კრეფავს ძალიან სწრაფად

მირბის, მიქრის. ძალიან სიჩქარით რო მიდის გინდა კაცი, გინდა მანქანაი, კენჭსა კრეფამსო, ვიტყვით (ავტ.). როცა ავტომობილი ისე წავა, რო გეგონება, გაფრინდაო, იტყვიან, რო კენჭი აკრიფაო (კავთ.)“ (ბეროზაშვილი, მესხიშვილი და ნოზაძე, 1981: 246). ამგვარი გამონათქვამი ქართლის ზოგიერთ კუთხეში დღემდე გამოიყენება ავტომობილებზე ან მორბენალ ადამიანზე;

2. საბავშვო თამაშიდან მიღებული სახელი – კენჭაობას თამაშობდა, რის გამოც ეს სახელი დაერქვა: „კენჭაობა (ქართლ., ქიზიყ.) ბავშვთა თამაშობაა კენჭებით. ნ. კეცხოველის აღწერილობით თამაშობა ხუთი კენჭით სრულდებოდა ქართლში, მას აქვს 76 ხერხი, რომელთაც თავთავისი სახელი მოეპოვება“ (ღლონტი, 1984: 279); კენჭაობა (ანუ კენჭებით თამაში) იყო ფართოდ გავრცელებული ბავშვური გართობა ქართლში, რასაც უამრავი ხერხი ჰქონდა და ადამიანის მეტსახელი სწორედ აქედან შეიძლება მომდინარეობდეს;

3. ხანულობის ტრადიცია და კენჭის ყრა – რაიმეს განაწილების ან საქმის გარკვევის გამო კენჭის ყრის მომხრე იყო. კენჭის ყრა, როგორც გადაწყვეტილების მიღების საშუალება, იყო ფართოდ გავრცელებული ტრადიცია ქართულ სოფლებში (განსაკუთრებით ქვემო ქართლში), როდესაც რიგს წყვეტდნენ კენჭების დაყრით. რ. თოფჩიშვილს კენჭის ყრის მაგალითად მოყვანილი აქვს „ხანულობის ტრადიცია“: „ხანულობის ტრადიცია ქვემო ქართლში დაწვრილებითაა აღწერილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. სულხან-საბა ორბელიანი ხანულს განმარტავს, როგორც „რძის მოზიარე დიაცნი“. ქვემო ქართლში ერთი ძროხის პატრონი ხანულობის პერიოდში ხუთი ძროხის მეწველს იღებდა ერთ წველაზე. „დახანულებული ერთმანეთში დაინაწილებდნენ რიგს: კენჭს ყრიდნენ, ვის მოუწევდა პირველი „ხანული“ და შემდეგ ამ რიგის მიხედვით გადაუტანდნენ ერთმანეთს რძეს. მაგალითად, თუ ერთი კვირა იყო დათქმული, ამ რიგით პირველს ერთი კვირის მანძილზე ყველა მიუტანდა რძეს, მეორე კვირას – მეორეს, შემდეგ მესამეს და ა.შ.“ (თოფჩიშვილი, 2021: 181).

თუმცა, ზემოაღნიშნულ ვერსიებთან შედარებით, უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ე.წ. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირე-ბული განმარტება, რომლის მიხედვითაც, მეტსახელი „კენჭია“ დაერქვა იმ პიროვნებას, რომელიც თავისი სახნავი მიწიდან კენჭებს აგროვებდა და ყრიდა, რათა უკეთესად მოემზადებინა ის სამეურნეო საქმიანობისთვის. ეს ვარაუდი თავსებადია 1817 წლის აღწერის დოკუმენტში დაფიქსირებულ ფაქტთან, სადაც კენჭიაშვილები ეწეოდნენ სახნავ-სათეს მეურნეობას (იხ. დოკ. 7), რაც მათ ყოველდღიურ საქმიანობას გვიჩვენებს. სავსებით დასაშვებია ვიფიქროთ, რომ მათი წინაპარი, რომლის ძირითად საქმიანობასაც ხვნა-თესვა წარმოადგენდა, საკუთარი მიწიდან კენჭებს ხშირად კრეფდა და ყრიდა, ანუ მათგან მიწას ასუფთავებდა. აკად. ა. შანიძე სიტყვის – „კენჭი“ – განმარტების დროს აღნიშნავს: „გაკენჭვა მთ., მოჴ., კენჭების აკრეფა და გადაყრა მოსახნავი ადგილიდან“ (შანიძე, 1984: 339).

ამრიგად, კენჭიაშვილის გვარის ეტიმოლოგია და მისი წარმოშობა-წარმომავლობა ე.წ. „დახასიათების შემცველი“ გვარების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, რადგან მას, ისევე, როგორც ზოგიერთ გვარს, საფუძვლად უდევს სიტყვა, რომელიც ადამიანს ახასიათებს რაიმე ნიშნის მიხედვით, როგორიცაა თვისება, მოქმედება და ა.შ. „ქართველ ტომებში ძველთაგანვე გავრცელებული იყო ადამიანებისთვის მეტსახელის შერქმევა, რაც დღესაც არ მისცემია დავიწყებას. – აღნიშნავდა ქართველური სახელების ცნობილი მკვლევარი ალ. ღლონტი – მეტსახელის შერქმევისას, უწინარეს ყოვლისა, მიზანში იღებდნენ ადამიანის პირად თვისებებს, მისწრაფებებს, მოსაქმეობას, ფიზიკურ გარეგნობას. ამიტომ აქ გონებამახვილობასა და შემოქმედებას უსაზღვრო ასპარეზი ჰქონდა... მეტსახელი, ანუ თიკუნი, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია ცნობილი. ზოგჯერ ადამიანს მეტსახელით უფრო იცნობენ, ვიდრე ნამდვილი სახელით“ (ღლონტი, 1986: 39).

პროფ. ილია მაისურაძე წერდა: „შრომა-საქმიანობის სახე იმდენად თვალსაჩინო სოციალური ნიშანია, რომ მისი სიტყვიერი ექვივალენტი ყოველდღიურ ცხოვრებაში საკუთარი სახელის

ფუნქციითაც აღიჭურვებოდა ხოლმე. [...] მათ მატარებელ ადამიანებს, როგორც ძველად იტყოდნენ, „გაუგვარდათ“ წინაპართა საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვა-ტერმინები...“ (მაისურაძე, 1978: 175). შესაბამისად, სახელები, რომლებიც ასახავდა პროფესიულ ქცევას, შეიძლება გადაქცეულიყო გვარად. სწორედ ამ ტიპის გვართა რიგში უნდა განვიხილოთ „კენჭიაშვილი“ – როგორც გვარი, რომელიც ასახავს შრომით-ტრადიციული საქმიანობის კვალს.

ჩვენი საკვლევი გვარის ისტორიისათვის საყურადღებოა აგრეთვე რომის ეკლესიის აბატის, პროფ. მიხეილ თამარაშვილის ერთ-ერთ ნაშრომში მოხსენიებული გვარ-სახელი „კენჭიანთი“, რომელიც მას XVIII საუკუნის დასაწყისის გორისა და ახალციხის საბუთებში აღმოუჩენია (იხ. დოკ. 13). იგი ამ გვარს ე. წ. გასომხებულ ქართველთა შორის ასახელებს და „კენჭიანთი“, ისევე, როგორც სხვა მრავალი გვარი, საკმაოდ დამაჯერებელი დოკუმენტებისა და არგუმენტების საფუძველზე, ქართული წარმომავლობის გვარად აქვს მიჩნეული (თამარაშვილი, 1904: 231-232).

როგორც მიხეილ თამარაშვილი აღნიშნავს, „თითქმის საქართველოს ყველა კუთხეში მოიპოვებიან ამნაირი სახელ-გვარის მქონე ქართველები“ (1904: 232). ცნობილია, რომ საკუთარი სახელის სუფიქსი -იანთი მიკუთვნებული აქვს საუბნო სახელებსა და გვარებს. როგორც ზემოთ ითქვა, ასეთი საუბნო გვარები არაოფიციალურია, არაა ფიქსირებული დოკუმენტებში, საკომლო სიებში და სხვ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში სოფ. დიღომშიც არსებობდა უბანი „კენჭიანთი“, რომელთა წარმომადგენლებს ეს საუბნო სახელი მოგვიანებით „გაუგვარდათ“.

აღსანიშნავია, რომ კენჭიაშვილების გვარი სწორედ იანი/აანი სუფიქსების შემცველი სახელების „მამის სახლებად“ იყოფოდა (შუშიანი, შაქარაანი, ჭანაპარაანი, ნოხჩურაანი და ქოჩორაანი). კენჭიანთა უბანი კი, შესაძლოა, ყოფილიყო ჯ. სონღულაშვილის მიერ დასახელებული დიღმის ციხის დასავლეთი და სამხრეთი ტერიტორია (სონღულაშვილი, 1969: 7).

ასე ახლახანს გორში და ახალციხეს (1703 და 1705 წ.) დაწერილი საბუთები აღმოაჩინეს, რომლებიც ცხადად გვიმტკიცებენ იქაური კათოლიკების ქართველობას ნათლიღების სახელებით და სხვა გარემოებით. ჩვენი მოკამათე სომეხი-კი, რომელიც თავის წინა წერილებში საბუთების წარმოდგენას თხოულობდა, ახლა ამ საბუთებს ქართველებისათვის უარყოფს და მათ აკუთნებს სომხებს. ყველაფერს თავისებურად ხსნის, ყველაფერს თავისებურად აქარწყლებს: ჩვენს ენას, ჩვენს ზნე-ჩვეულებას, ჩვენს ძველს სახსოვრებს და თვით ჩვენს შინაგან გრძნობასაც უარყოფს და ყველასფერს სომხურ დაღს ასვამს! აი ხსენებულ ახლად ნაპოვნ საბუთებში მოყვანილი ზოგიერთი სახელები, რომლებსაც ჩვენი მოწინააღმდეგე სომხებს აკუთნებს: „რუათი, ყანდინათი, კოლტიათი, მინდორათი, მანანაძე, წალდაძე, ნებიერიძე, მიქელაძე, ხუციძე, ქათამაული, ზაზათი, ზოზოთი, ბეროთი, ბერომელათი, მალხაზათი, კეჟერათი, გულასპათი, ტეტიათი, ბატონათი, ხახათი, ჯინჯორათი, კაკნათი, ბაბუზათი, ქოლქათი, მელეშანთი, ხიზანათი, ცხელაოი, თელიათი, ტყავაძე, ომიძე, მაისურაძე, ჰოროველათი, მეხჩური, ფილიპამიათი, გოდელათი, გოდერძათი, თუთულათი, ხუთქალათი, ფარიათი, ნარუათი, მელარიანთი, ნახვრეტათი, ქვათი, ფუფულათი, გედიათი, ქოცეცათი, კენჭიანთი, ილოთი, კაკონათი, კაკოთათი, ხრინწიანთი, ბისტიათი, კოკოჩათი, მოკოთი,

თითქმის საქართველოს ყველა კუთხეში მოიპოვებიან ამნაირი სახელ-გვარის მქონე ქართველები. თუ ახალციხეში ამ სახელების მქონე სომხები ყოფილან, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ ესრეთი სახელების მქონე სხვა ადგილებში მყოფი ქართველებიც სომხები ყოფილან. აი სომხების მწერლები როგორ ყველაფერს ითვისებენ და ყველას ასომხებენ.

13. თამარაშვილი, 1904: 231-232

მ. თამარაშვილის ამ გამოკვლევას დადებითად აფასებს/ახასიათებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრი, პროფ. ანანია ჯაფარიძე: „ყველა ესენი, ქართველი კათოლიკენი, სომხებად იწოდებიან. სიმართლე გაირკვა მიხეილ თამარაშვილის და სხვა ქართველ მოღვაწეთა თავდადებით“ (ჯაფარიძე, 1999: 37).

საქართველოში დღემდე არსებობს გვარები, რომლებიც ძველ საისტორიო წყაროებშიც იხსენიებიან და მათი წარმომავლობა უკავშირდება ფუძე-სიტყვას – კენჭა/კენჭი/კენჭო/კენჭუ. ეს გვარებია: კენჭაძე, კენჭაშვილი, კენჭიშვილი, კენჭოშვილი და კენჭუაშვილი. თუმცა, მათ შესახებ საუბარი შესაძლოა მხოლოდ მათი ფუძეების მსგავსებაზე დავამყაროთ და არა გვართა შორის სისხლისმიერ ნათესაობაზე, ანუ ამ ფუძის გვარების სისხლით ნათესაობა არ უნდა არსებობდეს.

სავსებით შესაძლებელია ერთნაირი ჟღერადობის გვარ-სახელები დამოუკიდებლად წარმოშობილიყო სხვადასხვა დროსა და ადგილას, სხვადასხვა სუფიქსით. ამდენად, აუცილებელი არაა ისინი ერთმანეთის ბიძაშვილებად ჩავთვალოთ. ამ საკითხთან დაკავშირებით, მოვიყვანთ აკად. აკაკი შანიძის სიტყვებს: „...წყვილ-წყვილი გვარები, მაშასადამე, ერთნია წარმოშობის თვალსაზრისით, მაგრამ გაფორმებულია სხვადასხვაგვარად, იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობს ამა თუ იმ გვარის ხალხი, აღმოსავლეთ საქართველოში თუ დასავლეთში. ხომ ვამბობთ, წარმოშობით ერთნიაო, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ერთი დედ-მამის ჩამომავლები იყვნენ! არა, ეს ნიშნავს, რომ ასეთ გვარებს ერთი და იგივე სახელი უძევს საფუძვლად. მაგრამ ერთი და იგივე სახელი სულ სხვადასხვა წარმოშობის პირებს შეიძლება ჰქონდეთ. მიუხედავად ერთნაირი გვარისა, წარმოშობით ისინი შეიძლება სხვადასხვანი იყვნენ და ნათესაური კავშირი არ ჰქონდეთ“ (შანიძე, 1967: 195-196).

ამრიგად, კენჭიაშვილის გვარი მიეკუთვნება ე.წ. დახასიათების შემცველი გვარების კატეგორიას – ესენია გვარები, რომელთა ფუძე ასახავს მოქმედებას, თვისებას ან საქმიანობას. მისი ონომასტიკური ფორმა და მემკვიდრეობითი განვითარება ემყარება ქართველების ისტორიულ ტენდენციას მეტსახელების გვარად ქცევის გზით.

თავი III

კენჭიაშვილების გეოგრაფიული ფესვები, მიგრაციები და თანამედროვე სტატისტიკა

კენჭიაშვილების საგვარეულოს ისტორიის ანალიზისას, განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი გეოგრაფიული ფესვები, შიდა მიგრაციები და თანამედროვე დემოგრაფიული განაწილება. დოკუმენტებზე, საარქივო ცნობებსა და ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით, შეგვიძლია გარკვეული სიზუსტით აღვადგინოთ მათი ისტორიული სურათი.

როგორც საზოგადოდ არის გავრცელებული, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მოსახლეობა უძველესი დროიდანვე ერთმანეთში ადგილმონაცვლეობდა. ქართული ეთნოსისა და ქართული ეთნიკური კულტურის შექმნაში დიდი როლი შეასრულა ქვეყნის მოსახლეობის შიდა მიგრაციულმა პროცესებმა, რომელიც ხან ინდივიდუალური, ხანაც ჯგუფური ხასიათის იყო.

ქართული სოფლების ისტორიული განვითარება ყოველთვის მოიცავდა შიდა მიგრაციას. როგორც მეცნიერები და ეთნოლოგები მიუთითებენ, მიგრაციის მიზეზები იყო მრავალი – ეკონომიკური ფაქტორები, ეკოლოგიური პირობები, ომიანობის დროინდელი გადაადგილებები, ოჯახური შტოების გამრავლება, ტერიტორიების დეფიციტი და სხვ.

კენჭიაშვილების შიდამიგრაციული პროცესები, სავარაუდოდ, დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან – ამაზე მიუთითებს დოკუმენტებში მათი რაოდენობის ზრდა, ოჯახების დაყოფა და გვარის გავრცელება ახლომდებარე რეგიონებში.

როგორც წინა თავებში აღინიშნა, კენჭიაშვილების ბუდე-სოფელი იყო დიღომი – ისტორიულად, ქართლის რეგიონის ერთ-ერთი უძველესი და სტრატეგიული მდებარეობის მქონე დასახლება. არქივების მიხედვით, XVIII საუკუნის დავთრებში ისინი მოხსენიებული არიან, როგორც მკვიდრი მოსახლეობა, რაც მიუთითებს მათ მრავალსაუკუნოვან კავშირზე ამ ტერიტორიასთან.

დიღმის ადგილმდებარეობა – თბილისთან სიახლოვე და ადმინისტრაციულ-სასოფლო ცენტრის ფუნქცია – ქმნიდა ნიადაგს გლეხური და სამეურნეო გვარების განმტკიცებისთვის. სწორედ აქედან იწყება კენჭიაშვილების განსახლების გაფართოება.

მნიშვნელოვანია, რომ სოფ. დიღმის გარდა, კენჭიაშვილები დღეს გვხვდებიან: თბილისში (მათ შორის, მუხრანში, ყოფილ ვაშლიჯვარში – რომელიც 1972 წელს თბილისს მიუერთდა); მცხეთასა (ისტორიულად დაკავშირებული იყო დიღომთან და ეკუთვნოდა მცხეთის რაიონს) და სამტრედიაში. უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით, თბილისში, მცხეთასა და სამტრედიაში მცხოვრები კენჭიაშვილები სოფ. დიღმიდან უნდა იყვნენ მიგრირებული.

ავთანდილ სილაგაძისა და ანზორ თოთაძის მიერ შედგენილი ნაშრომის – „გვარ-სახელები საქართველოში“ (1997) – მონაცემებით, იმ დროს საქართველოში ცხოვრობდა სულ 336 კენჭიაშვილი, აქედან მცხეთის რაიონში – 201, თბილისში – 124, სამტრედიაში – 6. ეს ცნობები საჭიროებს დაზუსტებასა და დამატებებს (იხ. დოკ. 14).



გვარ-სახელები საქართველოში

კენჭაშვილი 59 (გურჯაანი - 30; გარდაბანი - 15; თბილისი - 7)

კენჭაძე 1158 (ქუთაისი - 298; თბილისი - 238; ქობულეთი - 128)

კენჭიაშვილი 336 (მცხეთა - 201; თბილისი - 124; სამგრელდა - 6)

კენჭიშვილი 36 (თბილისი - 10; ბაღდადი - 8; ქობულეთი - 5)

კენჭოშვილი 1058 (ჭიათურა - 461; თბილისი - 186; თერჯოლა - 92)

კენჭუაშვილი 231 (თბილისი - 171; ქასპი - 52; გორი - 6)

14. სილაგაძე და თოდაძე, 1997: 108

ეს ციფრები ასახავს იმ სოციალურ-დემოგრაფიულ დინამიკას, რომელიც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარდა. თუკი თავდაპირველად გვარი გავრცელებული იყო სოფ. დიღომში, XX საუკუნის შუა და ბოლოსათვის მან უკვე სხვა ურბანულ სივრცეებშიც გადაინაცვლა.

2020-იანი წლების მონაცემებით (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული ბაზის მიხედვით), კენჭიაშვილების რაოდენობა ასე გამოიყურება: საქართველოში ცხოვრობს სულ 359 კენჭიაშვილი, აქედან თბილისში – 303, მცხეთის რაიონში[5] – 18, სამტრედიაში – 6 (დოკ. 15).



15. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, 2022

5 მცხეთის რაიონს სოფ. დიღომი 2007 წლამდე ექვემდებარებოდა და იყო თემის ცენტი.

ცალკე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კენჭიაშვილებს მონაწილეობა მიუღიათ მეორე მსოფლიო ომში, რომელთა შესახებაც არსებობს საინტერესო საარქივო დოკუმენტები. მეორე მსოფლიო ომში (საქართველოსთვის – დიდი სამამულო ომი) მონაწილე ქართველთა რიცხვი 700,000-ს აღემატებოდა, რომელთაგან ასი ათასობით გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. არქივში დაცულ დოკუმენ-ტებზე დაყრდნობით, კენჭიაშვილების გვარის 16 წარმომადგენელი ოფიციალურად ფიქსირდება როგორც ომში დაღუპული (იხ. დოკ. 16). ქვემოთ მოგვყავს ერთ-ერთი დოკუმენტის ასლი, რომელშიც ფიგურირებს დიღმელი გიორგი ზაქარიას ძე კენჭიაშვილი, რათა ვიხილოთ თუ როგორ გამოიყურება რუსეთის არქივებში დაცული ეს მასალა კონკრეტულ პიროვნებებზე (იხ. დოკ. 17).

	Источник, ФИО	Дата рождения		
1	Кенчиашвили Владимир Яковлевич	__.__.1907	09.01.1942	Грузинская ССР, Мухецкий р-н, с. Мухрани
2	Кенчиашвили Владимир Яковлевич	__.__.1908	09.01.1942	Грузинская ССР, Мцхетский р-н, сл. Мухрани
3	Кенчиашвили Коте Александрович	__.__.1910	__.12.1941	Грузинская ССР, Тбилисский р-н, с. Дигоми
4	Кенчиашвили Вахтанг Захарович	__.__.1915	__.__.1941	
5	Кенчиашвили Константин Семенович	__.__.1910	26.10.1942	Грузинская ССР, Зестафонский р-н, с. 2 Свири
6	Кенчиашвили Иван Соломонович	__.__.1905	__.01.1942	
7	Кенчиашвили Николай Михайлович	__.__.1914	__.01.1944	
8	Кенчиашвили Леон Иванович	__.__.1904	26.05.1942	
9	Кенчиашвили Михаил Георгиевич	__.__.1906	__.01.1943	
10	Кенчиашвили Владимир Яковлевич	__.__.1909	09.01.1942	Грузинская ССР, Мцхетский р-н, г. Мухраш
11	Кенчиашвили Давыд Семенович	__.__.1900	__.12.1942	Грузинская ССР, Тбилисский р-н, с. Дигоми
12	Кенчиашвили Илья Петрович	__.__.1909	__.12.1942	Грузинская ССР, Тбилисский р-н, с. Дигоми
13	Кенчиашвили Александр Яковлевич	__.__.1902	__.12.1942	Грузинская ССР, Тбилисский р-н, с. Дигоми
14	Кенчиашвили Вахтанг Захарович	__.__.1915	__.01.1943	Грузинская ССР, Тбилисский р-н, с. Дигоми
15	Кенчиашвили Георгий Захарович	__.__.1919	29.03.1944	Грузинская ССР, Тбилисский р-н, Дигомский с/с, с. Дигоми
16	Кенчиашвили Николай Михайлович	__.__.1914	__.02.1944	Грузинская ССР, Тбилисский р-н, с. Дигома

16. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური არქივი, ფონდი 58



АНКЕТА

1. Фамилия имя и отчество разыскиваемого	Кенчиашвили Георгий Захарович
2. Год рождения	1919
3. Место рождения: область, р-н, с/совет, деревня, город.	ГССР Тбилисский р-н, Джалошкинский с/совет. сел. Диаони
4. Каким военкоматом призван, когда, в какую часть и когда направлен.	Тбилисским райвоенкоматом ГССР в 1943 г.
5. Военное звание.	Солдат
6. Занимаемая должность в Красной Армии.	Стрелок
7. Когда прекратилась письменная связь.	с 1944 г.
8. Воинский адрес по последнему письму.	752 стрелковый
9. Где проживал до призыва; область, р-н, с/совет, деревня, город.	ГССР Тбилисский р-н, Джалошкинский с/совет. сел. Диаони
10. Дополнительные данные о разыскиваемом: письма товарищей, сообщения в/ч., свидетельские показания и др.	Находился на Ленинградском фронте
11. При наличии сведений о гибели, указать: где и когда (месяц, число, год), погиб, место похор.	Нет
12. Кто разыскивает: фамилия, имя, отчество заявителя.	Кенчиашвили Тоти Захарович
13. Родственное отношение заявителя к разыскиваемому: отец, мать, жена и т. д.	Брат
14. Подробный адрес места жительства заявителя: область, р-н, с/совет, деревня, город.	ГССР Тбилисский р-н Джалошкинский с/совет. сел. Диаони
15. Личное заключение военкома по материалам. (Военнослужащий: погиб. умер. пропал без вести и т. д.	Можно считать пропавшим б/вестн в 1944 г.

16. Приложение

Тбилисский райвоенком

подполковник (Рухадзе)

"29" III 1948 г.

Пропал без вести

II 295

Вх. 27614с

погиб 29 III-44

17. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივი, ფონდი 58, ანაწერი 977521, საქმე 514

დასკვნა

ასეთია კენჭიაშვილთა საგვარეულოს ისტორიის საკითხები ზემოთ განხილული დოკუმენტებისა და სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე, საიდანაც შეიძლება მოკლედ ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

- კენჭიაშვილი წარმოადგენს ერთ-ერთ ძველ ქართულ გვარს. მათი პირველსაცხოვრისი, ანუ, როგორც მას უწოდებენ ბუდე-სოფელი, ქართლის მხარის სოფელი დიღომი იყო. ამ სოფელში კენჭიაშვილთა ისტორიულ უბნად დიღმის ციხის დასავლეთი და სამხრეთი ტერიტორია უნდა მივიჩნიოთ, სადაც მათი საუბნო სახელი შესაძლოა „კენჭიანთი“ ყოფილიყო;
- კენჭიაშვილი არის ეპონიმური ტიპის გვარსახელი, რომლის ფუძეს წარმოადგენს წინაპართა (მამა-პაპის) მეტსახელი. სავარაუდოდ, „კენჭია“ დაერქვა პიროვნებას იმ გამორჩეული თვისების გამო, რომელიც თავისი სახნავი ადგილიდან კენჭებს კრეფდა და ყრიდა;
- როგორც საარქივო დოკუმენტებდან ირკვევა, კენჭიაშვილები სახნავ-სათეს მეურნეობას ეწეოდნენ. სახელი „კენჭია“ პიროვნების კნინობითი ფორმაა, რომელსაც „ალერსობითი მნიშვნელობა“ აქვს. როგორც იტყვიან, ამ პიროვნებას თავისი მეტსახელი „კენჭია“ გაუგვარდა და მასზე სუფიქს „შვილი“-ს დართვით მივიღეთ გვარი – კენჭიაშვილი. ეს გვარი დახასიათების ამსახველ ტერმინთა შემცველ გვარსახელს უნდა მივაკუთვნოთ;
- ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, სოფელ დიღომში მცხოვრები კენჭიაშვილბის გვარი შემდეგ „მამის სახლად“ იყოფოდა: შუშიანი, შაქარაანი, ჭანაპარაანი, ნოხჩურაანი და ქოჩორაანი;
- ყველაზე ადრეული შემონახული საბუთი, რომელშიც იხსენიება გვარი კენჭიაშვილი თარიღდება 1781 წლით და წარმოადგენს ხალხის აღწერის დავთარს, რომელშიც კათალიკოსის ყმებს შორის გვხვდება დიღმელი კენჭიაშვილი გოგია და პავლე;

- კენჭიაშვილთა საგვარეულო ისტორიისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ვხვდებით XIX საუკუნის მოსახლეობის კამერალურ აღწერებსა და საეკლესიო წიგნებში, საიდანაც შესაძლეელია მათი სხვადასხვა კონკრეტული შტოს გენეალოგიური ნუსხის შედგენა;
- როგორც ნაშრომში მოყვანილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის საეკლესიო მეტრიკული და აღსარების მთქმელთა წიგნებიდან ჩანს, კენჭიაშვილბი სოფ. დიღომში ინათლებოდნენ წმინდა მარინეს ეკლესიაში, რომელიც მათი სალოცავი ეკლესია უნდა ყოფილიყო;
- თუ კენჭიაშვილთა საგვარეულოს გვარ-ტომობრივად განვსაზღვრავთ, ისინი ქართლელებად უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც უძველეს ქართულ ტომებს განეკუთვნებიან;
- მიუხედავად ურბანული სტრუქტურების ცვლილებისა და გლობალიზაციის გავლენებისა, კენჭიაშვილების გვარი მაინც ინარჩუნებს ეთნიკურ-რეგიონულ კავშირს სოფ. დიღომთან. დღემდე შემორჩენილია ოჯახური მეხსიერების რგოლები, რომლებიც უკავშირდება „მამის სახლებად“ ცნობილ შტოებს: შუშიანი, შაქარაანი, ჭანაპარაანი, ნოხჩურაანი და ქოჩორაანი. გარდა ამისა, კენჭიაშვილები დღემდე კომპაქტურად სახლობენ სოფელ დიღომში.

ავტორი და შემდგენელი:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
რეზო ხუციშვილი

თბილისი, 2022 წ. მარტი

გამოყენებული წყაროები

1. ბერიოზაშვილი, მესხიშვილი და ნოზაძე (შემდგ.), 1981. ბერიოზაშვილი, თ. მესხიშვილი, მ. ნოზაძე, ლ. (შემდგ.), ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თბილისი, მეცნიერება;
2. ბერძენიშვილი, 1953. ბერძენიშვილი, ნ. (შემდგ.), მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა, წიგნი II, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა და სტამბა;
3. გოგოლაძე, 1971. გოგოლაძე, დ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში: საადგილმამულო ურთიერთობა, 1800-1864 წწ., თბილისი, მეცნიერება;
4. დოკუმენტი ფრაგმენტით. 1817 წ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 477, გვ. 22ა;
5. დოკუმენტი ფრაგმენტით. 1873 წ. ს. დიღმის აღწერა. ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე 114, გვ. 34-36;
6. დოკუმენტი ფრაგმენტით. 1820 წ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე 5, გვ. 77;
7. თამარაშვილი, 1904. თამარაშვილი, მ. პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას, თბილისი, ელექტრინის საბეჭდავი გრ. ნ. დიასამიძისა;
8. თოფურია, 1925. თოფურია, ვ. ქართლური, თბილისი, ს. ს. მ. უს პოლიგრაფ. 1-ლი სტ.;
9. თოფჩიშვილი, 1997. თოფჩიშვილი, რ. როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბილისი, ს/ს „კეგელი“;
10. თოფჩიშვილი, 2021. თოფჩიშვილი, რ. ქართლი, თბილისი, შპს „მწიგნობარის“ სტამბა;
11. მაისურაძე, 1978. მაისურაძე, ი. ონომასტიკის სამყაროში, მნათობი, №1, იანვარი, გვ. 166-177;
12. ორბელიანი, 1884. ორბელიანი, ს.-ს. ქართული ლექსიკონი, თბილისი, არსენ კალანდაძის და ამხ. სტამბა;
13. სურგულაძე და ოდიშელი (რედ.), 1991. სურგულაძე, მ., ოდიშელი წ., პირთა ანოტირებული ლექსიკონი: XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტომი I, თბილისი, მეცნიერება;
14. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივი, ფონდი 58;
15. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივი, ფონდი 58, ანაწერი 977521, საქმე 514;
16. საისტორიო არქივი, ფონდი 254;
17. საქართველოს ეროვნული არქივების კატალოგიდან, ფონდი 489;
18. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, 2022,

ხელმისაწვდომია: https://sda.gov.ge/?page_id=8680;
19. სილაგაძე და თოდაძე, 1997. სილაგაძე, ა. თოდაძე, ა. გვარ-სახელები საქართველოში, თბილისი, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი;
20. სონღულაშვილი, 1995. სონღულაშვილი, ავთ. სოფელი დიღომი საუკუნეთა კვალდაკვალ, თბილისი, მეცნიერება;
21. სონღულაშვილი, 1969. სონღულაშვილი, ჯ. აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის (დიღმის ხეობა), წიგნი I, თბილისი, მეცნიერება;
22. ბრეგაძე (შემდგ.), 1973. ბრეგაძე, თ. (შემდგ.), ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტომი VII, თბილისი, მეცნიერება;
23. ღლონტი, 1984. ღლონტი, ალ. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, განათლება;
24. ღლონტი, 1986. ღლონტი, ალ. ქართველური საკუთარი სახელები: ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბილისი, საბჭოთა საქართველო;
25. შანიძე, 1942. შანიძე, ა. ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი პირველი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
26. შანიძე, 1984. შანიძე. ა. თხზულებანი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ქართული კილოები მთაში, ტომი I, თბილისი, მეცნიერება;
27. შანიძე, 1967. შანიძე. ა. თეოფორული სახელები ქართველურ ენებში: სარწმუნოების ნიადაგზე წარმოშობილი სახელები და გვარები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, თბილისი, 1967, №2, გვ. 191-200;
28. ჭუმბურიძე, 2003. ჭუმბურიძე, ზ., რა გქვია შენ?, თბილისი, ლოგოს-პრესი;
29. ჯავახიშვილი, 1960. ჯავახიშვილი, ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
30. ჯავახიშვილი, 1967. ჯავახიშვილი, ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბილისი, მეცნიერება;
31. ჯავახიშვილი, 1982. ჯავახიშვილი, ივ., თხზულებანი 12 ტომად, ტ. 6, ქართული სამართლის ისტორიის I წიგნი და II წიგნის I ნაკვ., თბილისი, მეცნიერება;
32. ჯანაშია, 1959. ჯანაშია, ს., შრომები, ტომი III, თბილისი, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ.;
33. ჯაფარიძე, 1999. ჯაფარიძე, ა., ქართლ-კახეთი: ქართველთა გასომხება, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია;
34. 1788 წ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1488, ანაწერი 1, საქმე 3483, გვ. 1-2;
35. 1829 წ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე 2205, გვ. 3ა.

გამომცემლობა „მერიდიანი“ / “Meridiani” Publishers
თბილისი, ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №77 /
77 Vakhushti Bagrationi St., Tbilisi
ელფოსტა / E-mail: meridiani777@gmail.com